საქართველოს მთავრობის
დადგენილება

№ 393 2019 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 470000000.10.003.021008) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. **დანართ №2-ის (იმუნიზაცია) მე-9 მუხლის მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 და მე-16 პუნქტები:**

„15. ცენტრმა, ურთიერთთანამშრომლობის შესაბამისი შეთანხმების/ მემორანდუმის ფარგლებში, უზრუნველყოს:

ა) სომხეთის რესპუბლიკიდან მიღებული 30 ათასი დოზა წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ჯერილინის შტამზე დამზადებული ვაქცინის დაბრუნება იმავე ოდენობით, იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით შესყიდული რაოდენობიდან;

ბ) თურქეთის რესპუბლიკიდან მიღებული 100 ათასი დოზა წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ჯერილინის შტამზე დამზადებული ერთდოზიანი დაფასოების ვაქცინის დაბრუნება იმავე ოდენობით, რისთვისაც საჭირო ვაქცინის შესყიდვა განხორციელდება იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით, უშუალოდ ვაქცინის მწარმოებელი კომპანიისგან, რომელიც თავად უზრუნველყოფს ვაქცინის შეფუთვა/მარკირება/ტრანსპორტირებას თურქეთის რესპუბლიკის მოთხოვნების სრული დაცვით.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინის ტრანსპორტირება სომხეთის რესპუბლიკაში განხორციელდეს ცენტრის მიერ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით, ხოლო თურქეთის რესპუბლიკაში უზრუნველყოფილ იქნეს უშუალოდ მწარმოებლისგან „ცივი ჯაჭვის პრინციპების“ მკაცრი დაცვით.“.

2. დანართ №19-ის (რეფერალური მომსახურება) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 25,000.0 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 24,995.0 ათასი ლარით;

ბ) ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი – 5.0 ათასი ლარით.“.

3. დანართ №21-ის (ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 15,000.0 ათასი ლარით, მათ შორის ლოჯისტიკის კომპონენტის ბიუჯეტი - 1,000.0 ათასი ლარი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №1 * ადმინისტრაციული

პრემიერ-მინისტრი

მამუკა ბახტაძე